მცირე რეხელოვნებათმცოდნეო დასკვნა, ქ. თბილისი ი. გრიშაშვილის ქ.#7-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი

2024

უბნის განაშენიანების ჩამოყალიბება და განვითარება

საპროექტო ტერიტორია, ქალაქის ერთ-ერთ უძველესი უბანს წარმოადგენს, რომლის წიაღშიც ჩაისახა ქალაქი და მისი ისტორია. შუა საუკუნეებში წავკისის ღრმა ხევის გასწვრივ შემოზღუდული იყო თბილისის (ნარიყალას) ქვედა გალავანი. გალავნით შემოზღუდულ თბილისის ამ ნაწილს, XVIII ს-ში `ციხე დაბალი~ ეწოდებოდა. წავკისის ხევს კი _ დაბახანა. აქ, ხევის მარჯვენა ნაპირზე განფენილი იყო გოგირდიანი აბანოების უბანი _ საკუთრივ `ტფილისი~. უბნის ისტორიული სახელწოდება სეიდაბადია, რომლის ტოპონიმიც, XVII-ს-ში ჩამოსახლებული სპარსელი ტომი სეიდებისდან მოდის, უკვე XIX საუკუნიდან საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფარხუხად მოიხსენიებენ.

ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლები

XIX საუკუნიდან ეს უბანი ხარფუხად მოიხსენიება. ადგილის სახელის ეს ცვლაც ისტორიის გავლენაა. ხარფუხი თაბორის მთის აღმოსავლეთ კალთას ეწოდებოდა, რომელზეც გაჩენილი განაშენიანება სოლოლაკის ქედისა და თაბორის მთის, დახრამული რთული რელიეფითა და მის მიმდებარედ მტკვრისპირა ჭალებით იყო განპირობებული. შესაბამისად სეიდაბადი-ხარფუხის უბნის განაშენაინების, უფრო ზუსტად კი ურბანული სტრუქტურის ფორმირებისას უდიდესი როლი ჰქონდა კონკრეტული რელიეფის გეოგრაფიასა და ტოპოგრაფიულ მოცემულობებს.

განაშენიანების ფორმირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ხვადასხვა მხარეს მიმართული გზები _ წავკისის წყლის აყოლებით _ კოჯრისკენ და მტკვრის დინების გაყოლებით _ ქვემო ქართლისკენ.

ფაქტიურად უბანი და უშუალოდ ჩვენი საკვლევი ტერიტორია, სწორედ ქალაქის უძველესი საქარავნო გზებისა და არსებული რელიეფით წარმოქმნილი მოცემულობაა, რომელიც საბედნიეროდ მიუხედავად ძლიერი სახეცვლისა, ინარჩუნებს ისტორიულ მეხსიერებას.

უბნის ქრონოლოგიური განვითარების ეტაპები

როგორც საკუთრივ ქალაქმა, ასევე ჩვენმა საპროექტო უბანმაც, საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილები განიცადა: სოფლური ტიპის დასახლებები აქ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩაისახა. თანდათან განაშენიანებამ ქალაქის სამხრეთ-

აღმოსავლეთ კედლამდე და განჯის კარამდე მიაღწია. თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისის აღწერისას წერს: ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლისა ი ო მცირე სოფლებად დაყოფილი: ... სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა სეიდაბადის ბაღები რომ არის იქ, ტფილს წყლებს ახლო და იმ სოფელს ტფილისი რქმევია... . XVII ს-ში ტფილისი უკვე ქალაქის გარეუბანია. ამ დროიდან იწყება მისი ხელახალი დასახლება - შაჰ-აბას I-ის შვილიშვილის შაჰ-სეფის (1629 - 1642) დროს მეფე როსტომმა (1632 - 1658) აქ სპარსი სეიდების ტომი ჩამოასახლა, რომელიც ქალაქისა დაუბნის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

სეიდაბადს ქალაქის სამხრეთ მისადგომებთან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეჭირა. სეიდაბადი იცავდა თბილისზე და თაბორის ციხეზე მისასვლელ გზებს. ქალაქის ზღუდეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 2 კარი ჰქონდა განჯისა და აბანოსი , სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით უკავშირდებოდა სეიდაბადი ქალაქს.

უბნის ურბანული განვითარება

საპროექტო ტერიტორიის და მიმდებარე უბნის ურბანულ განვითარებას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ XVIIIს-ის დასაწყისიდან. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზე ეს უბანი უკვე განაშენიანებულია. უბანი ჩღდილოეთით მოსაზღვრულია ქალქის სამხრეთ ზღუდით და წავკისის ხევით, აღმოსავლეთით მდინარე მტკვარით, სამხრეთით ძველი ზღუდით, ე.წ. განჯის კარით დასავლეთით თაბორის მთით და განაშენიანებით. მტკვრის პირზე ბაღებია, თვით სეიდაბადი კი იოს. გრიშაშვილის დღევანდელი ქუჩის გარდი-გარდმო მჭიდროდ არის დასახლებული. ამ დროისთვის აქ სოფლური ტიპის დასახლებაა და წავკისის წყლის ორივე ნაპირზე _ ბანიანი სახლების ქაოტური განაშენიანება.



აღნიშნულ ვახუშტისეულ გეგმაზე, უბნის მთავარი ურბანული არტერია დღევანდელი გრიშაშვილის (შემდგომში სურბ-სარქისის) წინაპარი ძველი განჯის გზა უკვე გაკვალულია. აქ გამავალი საქარავნო გზა ძველი განჯის გზის ნაწილს წარმოადგენდა. განჯის გზის მონაკვეთზე ჩაისახა მირზა შაფის ქუჩაც, რომელიც ქ. თბილისის 1802 წლის რუკაზეა დატანილი.

1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად ეს უბანი და თაბორის ციხე მთლიანად განადგურდა. XIX საუკუნის დასაწყისის საისტორიო მასალებში, ხშირად იხსენიება სეიდაბადის ცარიელი ადგილები. 1800-აინი წლის გეგმებაზე, აღნიშნულ ადგილას მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები და ბაღებით დაფარული ტერიტორია. მათ შორის არის ძველი განჯის გზა, რომელიც მირხა შაფის ქუჩის კონფიგირაციას იმეორებს.



უბნის განაშენიანება ახალ ფაზაში, XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში გადადის, მთავარმართებლ გენერალ ერმოლოვის დროს (1816 - 1827), კერძოდ 1819 წელს, როდესაც ციხის ქვედა გალავნის მოშლის შემდეგ, ხარფუხი ქალაქის ადმინისტრაციული ნაწილი გახდა და მის მიმართაც გავრცელდა მშენებლობების წინასწარ შედგენილი გეგმით რეგულირების მოთხოვნა. თუმცა მომდევნო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შედგენილ თბილისის რუკებზე (1843 - 1859) ხარფუხი კვლავ სოფლად მოიხსენიება და ზოგჯერ ძველი სახელით, სეიდაბადით, არის აღნიშნული (1828 წ.). ამ პერიოდის გეგმებზე ნათლად ჩანს თუ როგორ ყალიბდება უბნის განაშენიანებისა თუ გეგმარებითი სტრუქტურა. XXს-ის დასაწყისში უბანი უკვე ქალაქის განუყოფელი ნაწილია.



აბანოთუბნის განაშენიანების ხასიათი

ამ უბნის სახეს იმ დროსაც განსაზღვრავდა აბანოთა სიმრავლე. სავაჭრო რიგებით `გაჭედილი~ `შაითან ბაზრიდან~, წავკისის ხევის აყოლებით, მოჩანდა აბანოების ერთმანეთზე ახუნძლული გუმბათები, კლდისპირზე კი გადმომდგარი _ აივნიანი სახლები. არქიტექტურულ ესთეტიკას განაპირობებდა ერთის მხრივ სტრუქტურული დაპირისპირება _ რთულ ლადშაფტურ გარემოში ჩაწერილ აბანოთა ბანიანი, სოლიდური მოცულობებისა, ქანობებზე გადმოკიდებულ შვეულად

დასახსრულ კონსტრუქციებთან და ამავე დროს განსხვავებულად დაფერილი ხის ფაქტურისა და აგურისფერი ტონების მხატვრული სინთეზი. უბანი თანდათან სტრუქტურულად ერთგვაროვანი ხდება, რასაც განაპირობებდა ასევე ავთენტური სამშენებლო მასალა და სამშენებლო ტექნიკა.

ამ მონაკვეთის განაშენიანება უნდა განვიხილოთ აბანოთუბნის მთელი განაშენიანების კონტექსტში. ამჟამად აბანოთუბნის არქიტექტურულ სახეს განსაზღვრავს რამდენიმე სივრცობრივი, მხატვრულ-მოცულობითი კომპონენტი:

ზედა მარცხენა ნაწილს მოიცავს თაბორის მთა და ფერდობის გასწვრივ მირზა შაფის ქუჩის ისტორიული განაშენიანება. აქ აღმართს აუყვეოდა გვიანდელი მინაშენებით ნაწილობრივ სახედაკარგული, ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, თუმცა მათი სტრუქტურული ფორმები და მოცულობა ჩვეული იყო ამ უბნის ურბანული ქსოვილისთვის და კარგად იყო მორგებული კლდოვან რელიეფს. აბანოთუბნის შუა ნაწილი კი, დაკავებული აქვს ხეობის ტაფობში გამართულ აბანოებს. აბანოთა ბრტყელი სტრუქტურები და ნახევარსფერული გუმბათები ერთიან ფერადოვან ლაქად აღიქმება და ასევე მონაწილეობს საერთო მასშტაბის განსაზღვრაში. მარჯვენა ფლანგზე, ნარიყალას ქვედა ქარაფებზე, ბოტანიკური ქუჩისა და აბანოს ქუჩისკენ კლდეზე გადმოკიდებული აივნიანი ნაგებობებია, რომლებიც თავიდანვე თვალში არ გვხვდება, ოდნავ რაკურსშია და მხოლოდ უბანში ღრმად შესვლის შემდეგ აღვიქვამთ ფრონტალურად. განაშენიანება აქ კასკადურია _ ქედის ქარაფოვან ფერდს აყოლებული.

სამწუხაროდ მირზა შაფის ქუჩის განაშენიანება, ბოლოდროინდელმა სამშენებლო ექსპანსიამ სრულიად იმსხვერპლა. შენობები, რომელიც ისტორიულად მასზე იყო განთავსებული, დაანგრიეს და მის ნაცვლად მასშტაბური, გარემოსა და ლანდშაფტთან შრულიად შეუსაბამო შენობებით შეივსო. არადა, მირზა შაფის ქუჩა, გაცილებით მეტ ღირებულებას წარდმოადგენდა, ვიდრე მხოლოდ ისტორიულს, რადგან ის უმთავერსად კულტურულ ლანდშაფტათ უნდა ყოფილიყო მოაზრებული, რაც აღნიშნული მონაკვეთის განუმეორებელ ღირებულებას ქმნიდა.

საპროექტო ობიექტი

უშუალოდ ჩვენი საპორექტო ტერიტორია, ისტორიული #7-ის აბანოს მიმდებარედ მდებარეობს და ისტორიულად მის სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენდა.



#7 აბანო მოქცეულია გრიშაშვილის ქუჩასა და მირზა შაფის აღმართს შორის. აბანოს ძირითადი კორპუსის მთავარი ფასადი გრიშაშვილის ქუჩაზე გამოდის და ქუჩის პირზე დგას. აქ განაშენიანება ტერასულად არის განლაგებული ფერდობზე. ქვედა ნაწილი დაკავებული აქვს ხეობის ტაფობში გამართულ აბანოთა ბრტყელი სტრუქტურებს, რომლებიც კასკადურად ვითარდება ქვევიდან ზევით და ერთიან ფერადოვან ლაქად აღიქმება.#7 აბანოს არქიტექტურული სახე უნდა განვიხილოთ მთელ მიმდებარე განაშენიანებასთან ერთად, რადგან დამრეც რელიეფზე განვითარებული განაშენიანება მოჩანს მრავალი წერტილიდან და განსაზღვრავს უბნის ერთიან არქიტექტურულ სახეს. ამ უბანში არსებობს რამდენიმე სივრცობრივი, მხატვრულ-მოცულობითი კომპონენტი.მთელი ეს განაშენიანება აწყობილია აქ თავდაპირველად არსებულ აბანოთა სტრუქტურებზე ჩასახულ ქუჩაბანდების ქსელზე. ამ ქსელის ჩამოყალიბება კი განაპირობა არსებულმა რელიეფმა და მისი განვითარება მოხდა ორგანულად, ცხოვრებისეულ საჭიროებიდან გამომდინარე.#7 აბანოს კომპლექსის დღევანდელი სახე წარმოადგენს აქ ძველი დროიდან არსებულ აბანოთა თავდაპირველ გეგმარებაზე შემდეგდროინდელ გადაკეთებათა და

დამატებების შედეგად წარმოქმნილ რთულ სტრუქტურას. კომპლექსი ფერდობის ძირას, ოდნავ დამრეც ტაფობზეა გამართული. მას ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართული წაგრძელებული გეგმარება აქვს. კომპლექსში ორი ძირითადი ერთეულია.



I წარმოადგენს გრიშაშვილის ქუჩაზე მდგომ კოლოფა სახურავიან ორსართულიან მართკუთხა ფორმის ნაგებობას, რომელსაც უკანა მხრიდან მოგვიანებით აქვს მიშენებული უფრო დაბალი მართკუთხა მოცულობა ბანიანი გადახურვით, რომელშიც ამოსულია აბანოს ნახევასფერული გუმბათები.

კომპლექსის II ერთეულია ნახევარსფერულ გუმბათებიან აბანოთა ბანურგადახურვიანი წაგრძელებული მოცულობა, შიდა ეზოში გამომავალი მთავარი მოკლე ფასადით. წინა მხრიდან აქვს ორქანობიანი გრძელი მინაშენი. სამხრეთისკენ გაუქმებული საქვაბეს მცირე მოცულობებია, ნახევრად მონგრეული აგურის მილით. ამ ძირითად ერთეულთა გარდა კომპლექსში შედის სხვადასხვადროინდელი მცირე ზომის, არაღირებული დამხმარე სათავსები.

აღნიშნული დასტურდება აბანოს რეკონსტრუქციამდე გადაღებულ საარქივო ფოტოებზეც.





აბანოთუბნის რეკონსტრუქციის დროს, აბანოების წინ არსებული მინაშენები გაიწმინდა და მის ადგილას ერთიანი გადახურული რესტორანი მოეწყო.

რესტორანი შედგებოდა ერთიანი აგურის მოცულობისგან, რომელიც უბნის ტერასული განაშენიანების ერთ-ერთი კომპონენტი იყო რომელიც უბნის განაშენიანების სპეციფიკას, მირზა შაფის ქუჩასთან საფეხურეობრივად აკავშირებდა. 2013 წლის ფოტოზე, ნათლად ჩანს აღწშნული ახალი რესტორანი და მის თავზე, ბანურ გადახურვაზე მოწყობილი ტერასა.



გამომდინნარე იქიდან, რომ აღნიშნული მონაკვეთი, ქალაქის უმნიშვნელოვანესი სავიზიტო ბარათია და არამხოლოდ მასზე, არამედ მისგანაც იშლება არაჩვეულებრივი ხედი, მოგვიანებით შენობაზე გაჩნდა პერგოლა და მისი ერთი მონაკვეთი მოცულობით შეივსო, რაც ძალზედ უხეშ, ვიზუალურ აქცენტს/მახვილს ქმნის.


TAKHEVI
Miller TIME
Wine
Therapy


MARA

წარმოადგენილი პროექტის მიხედვით, ტერასის რეკონსტრუქციაა/მოწესრიგებაა გამიზნული, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- დაუშვებელია ტერასაზე სართულის მოწყობა და მისი სივრცის ამოშენება;
- სასურველია მოიხსნას გვიანდელი მინაშენი და ის ერთიანი სტრუქტურითა და არქიტექტურით მოეწყოს;
- სხვადასხვა ხედვის წერტილის გამო, მნიშვნელოვანია მისი სილუეტი, რომელიც უბნის ფონზე ეწერება, შესაბამსიად გასააზრებელია ტერასის მოზღუდვის არამხოლოდ ფორმა, არამედ სილუეტიც;
- გასააზრებელია მისი ყველა ფსადი, მათ შორის მე 5 ფასადიც;
- რეკონსტრუქცია უნდა ითვალისწინებდეს მაქსიმალურად მსუბუქ, დოროებით კონსტრუქციას, რომელიც უმტკივნეულოდ და დელიკატურად ჩაეწერება განაშენაინების საერთო სურათში.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

გამოყენებული მასალები:

ქ. თბილისის საისტორიო არქივის მასალები

ქ. თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მასალები. 2006წ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მასალები. ძველი თბილისის რეაბიიტაციის სახელმწიფო პროგრამა

მირზა შაფის ქუჩის კვლევა. ავტ. ხელოვნებათმცოდე გ. ჭანიშვილი. 2007 წელი

ხელოვნებათმცოდნე მ. ხატიაშვილის კვლევის მასალები. ქ. თბლისი 2019 წელი გ. ბააზოვის ქუჩის კვლევა. ხელოვნებთმცოდნე თ. ამაშუკელი/ თ. ღვინერია. თთბილისი 2022 წელი